ემოციური ინტელექტის, პერფექციონიზმისა და შფოთვის ურთიერთკავშირი

ნინო გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია,კლინიკური ფსიქოლოგია): კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გელაშვილი

16. 06. 2023 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია ემოციურ ინტელექტს (პიროვნული ნიშნის მოდელი), პიროვნულ შფოთვას, პერფექციონიზმის ადაპტურ და არაადაპტურ ფაქტორებს შორის კავშირის დადგენა. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა და გამოყენებულ იქნა კორელაციური მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 111-მა ადამიანმა, ხოლო მათი ასაკი 19-დან 55 წლამდე ვარირებდა.

კვლევამ აჩვენა, რომ არაადაპტური პერფექციონიზმი დადებით კორელაციაში იყო პიროვნულ შფოთვასთან, ხოლო უარყოფით კორელაციაში იყო ემოციური ინეტელექტის როგორც გლობალურ მაჩვენებელთან, ასევე მის ოთხივე ფაქტორთან. ადაპტურ პერფექციონიზმს არ ჰქონდა სანდო კორელაციური კავშირი პიროვნულ შფოთვასთან და ემოციური ინტელექტის ემოციურობის ფაქტორთან. ასევე, კვლევამ დაადასტურა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც პიროვნული შფოთვა ნეგატიურ კორელაციაშია ემოციური ინტელექტის როგორც გლობალურ მაჩვენებლთან, ისე მის ცალკეულ ოთხ ფაქტორთან. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ემოციური ინტელექტის მხოლოდ ორი ფაქტორი (თვითკონტროლი; კარგად ყოფნა) წინასწარმეტყველებდა უარყოფითად პიროვნულ შფოთვას. პერფექციონიზმის არაადაპტური ფაქტორი კი დადებითად წინასწარმეტყველებდა პიროვნულ შფოთვას.

Abstract

The purpose of the present study is to determine the relationship between emotional intelligence (personality trait model), trait anxiety, adaptive and maladaptive factors of perfectionism. The research is quantitative and used the correlation method. 111 people, whose age ranged from 19 to 55 years, took part in the research.

The study found that maladaptive perfectionism was positively correlated with trait anxiety and negatively correlated with both, the global indicator of emotional intelligence and its four factors. Adaptive perfectionism did not have a reliable correlation with trait anxiety and the emotionality factor of emotional intelligence. Also, the study confirmed the hypothesis, according to which, trait anxiety is negatively correlated with both, the global indicator of emotional intelligence and its four factors. The study also found that only two factors of emotional intelligence (self-control; well-being) negatively predicted personal anxiety. The maladaptive factor of perfectionism positively predicted trait anxiety.